- მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების, (მათ შორის საბურავის, რეზინის და სხვა ელასტომერული მასალების) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა გამოიწვევს **დაჯარიმებას 500 ლარის** ოდენობით.

ზემოაღნიშნული სამართალდარღვევების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს **შესაბამისი ჯარიმის ოდენობის გაორმაგებას**; მათი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ჩადენა გამოიწვევს შესაბამისი **ჯარიმის ოდენობის გაორმაგებას**, ხოლო აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა - **შესაბამისი ჯარიმის ოდენობის გაოთხმაგებას**.

მაკონტროლებელი ორგანოებია:

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურები.



პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო – საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის – საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისის“, კავშირი მდგრადი განვითარებისათვის „ეკოვიჟენის“ და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველოს მიერ, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით.

დამატებითი ინფორმაციისთვის
დაგვიკავშირდით:
საქართველოს ბუნების მკვლევართა
კავშირი „ორქისი“
ქ. თბილისი, მარჯანიშვილი ქ. 6.
ტელ: +995 322 96 02 51
ელ-ფოსტა: orchisge@yahoo.com
ვებ-გვერდი: www. orkisi.ge; www.cleanup.ge

შეუნარჩუნე შვილებს ჯანსაღი გარემო და უზრუნველყავი მათი მომავალი!

Clean Up Georgia
დავასუფთაოთ საქართველო

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

GSNE "Orchis"

SWEDEN

1. მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება

- 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს **დაჯარიმებას 80 ლარის** ოდენობით;
- იგივე ქმედება, ჩადენილი საცხოვრებელი სახლიდან ან სხვა შენობა-ნაგებობიდან, გამოიწვევს **დაჯარიმებას 100 ლარის** ოდენობით;
- იგივე ქმედება, ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან, გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში - შესაბამისი დამრღვევის **დაჯარიმებას 120 ლარის** ოდენობით;
- 5 ერთეულამდე საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) გამოიწვევს **დაჯარიმებას 150 ლარის** ოდენობით; 5 ან 5 ერთეულზე მეტი საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავების გარდა) გამოიწვევს **დაჯარიმებას 500 ლარის** ოდენობით;
- 2 კგ-მდე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათური**ს**, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდ**ის**, ასევე ბასრი ან მჩხვლეტავი საგნის (შუშის ნამსხვრევის, ლურსმნის ან სხვა მსგავსი საგნის) ნარჩენით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს **დაჯარიმებას 100 ლარის** ოდენობით;
- 2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის **დაჯარიმებას 150 ლარის** ოდენობით, იურიდიული პირის **დაჯარიმებას - 500 ლარის** ოდენობით;
- 1 მ³-ზე მეტი მოცულობის მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის **დაჯარიმებას 300 ლარის** ოდენობით, იურიდიული პირის **დაჯარიმებას - 1000 ლარის** ოდენობით;
- დიდი მოცულობის ნარჩენით (სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო - ან ელექტროტექნიკური დანადგარის, სამშენებლო დანადგარის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის) გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის **დაჯარიმებას 500 ლარის**, ხოლო იურიდიული პირის **დაჯარიმებას 1500 ლარის** ოდენობით.

2. სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება

- 1 მ³-მდე მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის **დაჯარიმებას 200 ლარის** ოდენობით, იურიდიული პირის **დაჯარიმებას - 500 ლარის** ოდენობით;
- 1 მ³ ან 1 მ³ -ზე მეტი მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის **დაჯარიმებას 500 ლარის** ოდენობით, იურიდიული პირის **დაჯარიმებას - 1500 ლარის** ოდენობით.

3. ფეკალური მასებით ან კანალიზაციის ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურება

- ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება გამოიწვევს პირის **დაჯარიმებას 50 ლარის** ოდენობით (ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მეპატრონეს, თუ იგი დაუყოვნებლივ და სრულად მოასუფთავებს დაბინძურებულ ტერიტორიას);
- 1 მ³ - მდე მოცულობის ფეკალური მასით ან კანალიზაციის ნარჩენით ტერიტორიის დაბინძურება გამოიწვევს ფიზიკური პირის **დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით**, იურიდიული პირის **დაჯარიმებას - 500 ლარის** ოდენობით;
- 1 მ³ ან 1 მ³ -ზე მეტი მოცულობის ფეკალური მასით ან კანალიზაციის ნარჩენით ტერიტორიის დაბინძურება გამოიწვევს ფიზიკური პირის **დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით**, იურიდიული პირის **დაჯარიმებას - 2000 ლარის** ოდენობით.

4. ცხოველის სხეულის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება

- 20 კგ-მდე ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის **დაჯარიმებას 150 ლარის** ოდენობით, იურიდიული პირის **დაჯარიმებას - 500 ლარის** ოდენობით;
- 20 კგ ან 20 კგ-ზე მეტი ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის **დაჯარიმებას 300 ლარის** ოდენობით, იურიდიული პირის **დაჯარიმებას - 1000 ლარის** ოდენობით.

5. მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა

- მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა გამოიწვევს **დაჯარიმებას 200 ლარის** ოდენობით;